

შპს ჯეო

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოსაზრება.....	3
მოსაზრების საფუძველი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	11
ფულადი ნაკადების ანგარიში	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	13
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება.....	14
3. ფული და ფულადი ექვივალენტები	22
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	23
6.ძირითადი საშუალებები	24
7. კრედიტორული დავალიანება.....	26
8. საოპერაციო შემოსავალი.....	26
9. საოპერაციო ხარჯი.....	26
10. საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	26
11. არასაოპერაციო შემოსავლები.....	27
12. არასაოპერაციო ხარჯი	27
13. მოგების გადასახადი	27
14. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	28
15. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	30
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	31
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეო“

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „ჯეოს“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „ჯეოს“** ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის იანვრის თვეში, საზოგადოებას არ განუხორციელებია სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2022-2023 წლის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახდინეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარდგენილია 4 387 587 ლარით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5 297 526 ლარით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება სასაქონლო

მატერიალური მარაგების მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „ჯეოს“** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ **შპს „ჯეოს“** 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. **შპს „ჯეოს“** მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება **შპს „ჯეოს“**. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა **შპს „ჯეოს“** უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს **შპს „ჯეოს“** ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს „ჯეოს“** ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საზოგადოების შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა საზოგადოება გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

- კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

კონსტანტინე კიკნაძე

გარიგების პარტნიორი

შპს „კვ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

30 სექტემბერი 2024 წ.

შპს „ჯეო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	2 241 899	471 521	745 745
მოკლევადიანი მოხონებები	4	4 471 071	3 955 159	3 790 261
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5	4 387 587	5 297 526	4 153 934
საგადასახადო აქტივი		218 387	174 894	151 473
სულ მიმდინარე აქტივები		11 318 944	9 899 099	8 841 413
ძირითადი საშუალებები	6	1 446 895	1 244 165	1 113 621
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 446 895	1 244 165	1 113 621
სულ აქტივები		12 765 839	11 143 264	9 955 034
ვალდებულებები				
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	7	175 908	284 529	120 321
მიღებული ავანსები		20		17 000
მოკლევადიანი სესხები			24 942	897 569
სულ მიმდინარე ვალდებულებები		175 928	309 471	1 034 890
სულ ვალდებულებები		175 928	309 471	1 034 890
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		12 589 710	10 833 594	8 919 944
სულ საკუთარი კაპიტალი		12 589 910	10 833 794	8 920 144
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12 765 838	11 143 265	9 955 033

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	2 241 899	471 521	745 745
მოკლევადიანი მოზოვნები	4	4 471 071	3 955 159	3 790 261
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5	4 387 587	5 297 526	4 153 934
საგადასახადო აქტივი		218 387	174 894	151 473
სულ მიმდინარე აქტივები		11 318 944	9 899 099	8 841 413
ძირითადი საშუალებები		1 446 895	1 244 165	1 113 621
სულ გრძელვადიანი აქტივები	6	1 446 895	1 244 165	1 113 621
სულ აქტივები		12 765 839	11 143 264	9 955 034
ვალდებულებები				
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	7	175 908	284 529	120 321
მიღებული ავანსები		20		17 000
მოკლევადიანი სესხები			24 942	897 569
სულ მიმდინარე ვალდებულებები		175 928	309 471	1 034 890
სულ ვალდებულებები		175 928	309 471	1 034 890
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		12 589 710	10 833 594	8 919 944
სულ საკუთარი კაპიტალი		12 589 910	10 833 794	8 920 144
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12 765 838	11 143 265	9 955 033

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს „ჯეო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები რეალიზაციიდან	8	15 098 535	14 468 558
სულ შემოსავალი		15 098 535	14 468 558
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(9 298 972)	(9 163 950)
მთლიანი მოგება (ზარალი)		5 799 563	5 304 608
საოპერაციო ხარჯები:			
შრომის ანაზღაურება		(1 367 762)	(1 076 819)
ცვეთა		(117 415)	(110 643)
მარკეტინგის ხარჯი		(1 137 847)	(810 735)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(526 845)	(488 884)
უიმედო ვალების ხარჯი	10	(179 812)	(376 320)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3 329 681)	(2 863 401)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		2 469 882	2 441 207
არასაოპერაციო შემოსავლები	11	72 312	171 247
არასაოპერაციო ხარჯი	12	(49 847)	(149 646)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		22 465	21 601
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)		2 492 348	2 462 808

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები რეალიზაციიდან	8	15 098 535	14 468 558
სულ შემოსავალი		15 098 535	14 468 558
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(9 298 972)	(9 163 950)
მთლიანი მოგება (ზარალი)		5 799 563	5 304 608
საოპერაციო ხარჯები:			
შრომის ანაზღაურება		(1 367 762)	(1 076 819)
ცვეთა		(117 415)	(110 643)
მარკეტინგის ხარჯი		(1 137 847)	(810 735)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(526 845)	(488 884)
უიმედო ვალების ხარჯი	10	(179 812)	(376 320)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3 329 681)	(2 863 401)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		2 469 882	2 441 207
არასაოპერაციო შემოსავლები	11	72 312	171 247
არასაოპერაციო ხარჯი	12	(49 847)	(149 646)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		22 465	21 601
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)		2 492 348	2 462 808

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე


30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	8 919 944	8 920 144
პერიოდის მოგება		2 462 808	2 462 808
გაცემული დივიდენდი	-	(549 158)	(549 158)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	10 833 594	10 833 794
პერიოდის მოგება		2 492 348	2 492 348
გაცემული დივიდენდი	-	(736 232)	(736 232)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	12 589 710	12 589 910


ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო


მთ: ბუღალტერი

ცირა მოდეზაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს „ჯეო“

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	8 919 944	8 920 144
პერიოდის მოგება		2 462 808	2 462 808
გაცემული დივიდენდი	-	(549 158)	(549 158)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	10 833 594	10 833 794
პერიოდის მოგება		2 492 348	2 492 348
გაცემული დივიდენდი	-	(736 232)	(736 232)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	12 589 710	12 589 910

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
მოგება/ზარალი	2 492 348	2 462 808
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	117 415	110 643
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2 609 763	2 573 451
ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში	(515 913)	(164 897)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	909 939	(1 143 592)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	(43 493)	(23 421)
ცვლილებები ვალდებულებებში მიწოდება/მომსახურებიდან	(108 621)	164 208
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	20	(17 000)
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(24 942)	(872 627)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 826 754	516 122
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(320 145)	(241 188)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(320 145)	(241 188)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიანი ვალდებულებების	-	-
გაცემული დივიდენდი	(736 232)	(549 158)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(736 232)	(549 158)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	1 770 377	(274 224)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	471 522	745 745
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2 241 899	471 522

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
მოგება/ზარალი	2 492 348	2 462 808
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	117 415	110 643
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2 609 763	2 573 451
ცვლილებები მოკლევადიან მოთხოვნებში	(515 913)	(164 897)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	909 939	(1 143 592)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	(43 493)	(23 421)
ცვლილებები ვალდებულებებში მიწოდება/მომსახურებიდან	(108 621)	164 208
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	20	(17 000)
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(24 942)	(872 627)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 826 754	516 122
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(320 145)	(241 188)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(320 145)	(241 188)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიანი ვალდებულებების		
გაცემული დივიდენდი	(736 232)	(549 158)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(736 232)	(549 158)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	1 770 377	(274 224)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	471 522	745 745
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2 241 899	471 522

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

მუხრან გაგნიძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



მთ: ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

30 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს „ჯეო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაციის საქმიანობა

შპს „ჯეო“ (შემდგომში - „საზოგადოება“) დაფუძნდა 2005 წლის 10 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 206204604. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვარტ., კორპ. 13, ბ. 65.

შპს „ჯეო“ (შემდგომში - „საზოგადოება“) საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები.

საზოგადოების კაპიტალის წილები პარტნიორებზე გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ნინო ბულაძე (პნ 01012001250) - 50%
- მუხრან გაგნიძე (პნ 01001004261) - 50%

საზოგადოებას საბანკო ანგარიშები ერიცხება შემდეგ ბანკებში:

- ✓ სს „საქართველოს ბანკი“-17/04/2015 წლიდან;
- ✓ სს „პროკრედიტ ბანკი“ - 04/10/2005 წლიდან.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

სხვა

ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. შემდგომი შეფასება ხდება გადაფასებული ღირებულებით (გარდა დაუმთავრებელი მშენებლობებისა), რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად ტარდება იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა რეალური ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება. შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის, ისეთებისათვის, როგორსაც კომპანია ფლობს, საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების

უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები - 5%
- მანქანა-დანადგარები - 20%
- ოფისის აღჭურვილობა - 20%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%

(ბ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(გ-ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ კომპანია განსაზღვრავს,

რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომპანია განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცელების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს;
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება კონტრაგენტის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე;

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(გ-ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ-გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(გ-დ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.
- ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

(დ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესამენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

(ე) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო/სალარო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ვ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, ხდება შენატანის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შეტანის მომენტისათვის.

ანალოგიურად, როდესაც ხდება კაპიტალის გატანა არაფულადი გზით, ხდება აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა გატანის მომენტისათვის.

(ზ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(თ) მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარებისას მიღებული სესხები აღიარდება მიღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას დაკლებული ტრანზაქციის დანახარჯები. შემდგომი შეფასებისას მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ი) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753

კ) მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახდას განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების

გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

(ლ) შემოსავლები

i. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. მომხმარებლებთან გაფორმებული თითოეული ხელშეკრულებისათვის კომპანია: ახდენს კონტრაქტის იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, ფასის კონცესიის, მასტიმულირებელი ფასების, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც საწარმოს უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არმოხდენაზე. მაგალითად, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადი იქნება, თუ პროდუქტი გაიყიდა უკან დაბრუნების უფლებით, ან ხელშეკრულებაში საქმიანობის შედეგის საფუძველზე ბონუსის სახით ფიქსირებული თანხა გათვალისწინებული კონკრეტული ეტაპის დასრულებისთვის.

ii. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

საზოგადოება ახორციელებს სასურსათო პროდუქციის იმპორტს მის დაფასობას და შემდგომ რეალიზაციას. პროდუქციის შეძენა ხორციელდება ასევე საქართველოს ტერიტორიაზეც.

iii. საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი იჯარის პერიოდის განმავლობაში აღიარდება მეთოდის გამოყენებით.

(მ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

2.2. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასურებს მისი ქონების, მცენარეთა და აღჭურვილობისა და საბოლოო სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისათვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა ღონისძიებების შედეგად. ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასური გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასარგებლო სიცოცხლე ნაკლებია ვიდრე ადრე შეფასებული სიცოცხლე, ან ტექნიკურად მოძველებული ან არა სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა, ჩამოიწერება ან ჩამოიწერება.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები საღარიბოში	61 779	78 715	354 140
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	2 180 120	392 806	391 605
ჯამურად	2 241 899	471 521	745 745

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 217 186	2 536 016	2 015 051
საექვო მოთხოვნები	85 439	85 439	47 439
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	95	86	21
მოთხ. ხელმძღვ. და სამეთვ.ორგ.წევრ.მიმართ	6 230	13 752	71 979
გრძელვ.მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი	23 089	23 089	23 089
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 653 643	1 631 576	1 591 162
მოთხოვნა მისაღებ პროცენტზე	41 521	41 521	41 521
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	5 027 203	4 331 478	3 790 261
<i>მინუს გაუფასურების რეზერვი</i>	556 132	376 320	
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4 471 071	3 955 159	3 790 261

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	3 354 629	4 317 341	3 255 016
ნედლეული და მასალები	461 308	361 046	260 967
დაუმთავრებელი წარმოება	7 728	10 516	-
მზა პროდუქცია	548 497	605 632	606 101
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	15 425	2 991	31 850
ჯამურად	4 387 587	5 297 526	4 153 934

6.ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 31/12/2021	130 928	345 633	635 694	47 150	59 285	315 155	1 533 845
დანამატები 2022			115 371		46 128	84 730	246 229
აქტივების ჩამოწერა 2022	-		(48 734)				(48 734)
ბალანსი 31/12/2022	130 928	345 633	702 331	47 150	105 413	399 885	1 731 340
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31/12/2021	-	81 716	126 263	23 691	30 102	158 453	420 224
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		11 338	36 429	6 572	15 237	41 067	110 643
ბალანსი 31/12/2022	-	93 054	118 999	30 263	45 339	199 520	487 175
წმინდა ღირებულება							-
ბალანსი 31/12/2021	130 928	263 917	509 431	23 459	29 184	156 703	1 113 621
ბალანსი 31/12/2022	130 928	252 579	583 332	16 887	60 074	200 366	1 244 165

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 31/12/2022	130 928	345 633	702 331	47 150	105 413	399 885	1 731 340
დანამატები 2022			47 919	1 997	7 584	269 205	326 705
აქტივების ჩამოწერა 2022						(61 233)	(61 233)
ბალანსი 31/12/2023	130 928	345 633	750 250	49 147	112 997	607 857	1 996 812
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31/12/2022	-	93 054	118 999	30 263	45 339	199 520	487 175
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		11 338	33 976	5 043	15 472	51 587	117 415
						(54 673)	(54 673)
ბალანსი 31/12/2023	-	104 392	152 975	35 305	60 811	196 433	549 917
წმინდა ღირებულება							-
ბალანსი 31/12/2022	130 928	252 579	583 332	16 887	60 074	200 366	1 244 165
ბალანსი 31/12/2023	130 928	241 241	597 275	13 841	52 186	411 424	1 446 895

7. კრედიტორული დავალიანება

დასახელება	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	175 908	284 529	120 321
			-
			-
ჯამურად	175 908	284 529	120 321

8. საოპერაციო შემოსავალი

დასახელება	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	15 342 098	14 603 476
უკან დაბრუნება	(243 562)	(134 919)
ჯამურად	15 098 535	14 468 558

9. საოპერაციო ხარჯი

დასახელება	2023	2022
საიჯარო ქირა	140 733	130 748
ა/მანქანის რემონტი	55 503	33 978
კომუნალური ხარჯი	23 680	28 268
დაზღვევა	24 185	18 928
სამეურნეო ხარჯი	112 073	110 002
საკონსულტაციო ხარჯები	36 728	35 956
სხვა საერთო ხარჯი	133 943	131 004
ჯამურად	526 845	488 884

10. საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები

საექვო მოთხოვნების რეზერვი	2023	2022
წლის ხარჯი	556 132	376 320
წლის ამობრუნება	(376 320)	
სულ საექვო მოთხოვნების რეზერვი	179 812	376 320

11. არასაოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	3 533	1 572
არასაოპერაციო მოგება	766	-
აღწერით გამოვლენილი მეტობა	1 559	1 441
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	66 455	168 235
ჯამურად	72 312	171 247

12. არასაოპერაციო ხარჯი

დასახელება	2023	2022
საპროცენტო ხარჯები	2 462	29 875
აღწერით გამოვლენილი დანაკლისი	13 985	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	33 400	119 772
ჯამურად	49 847	149 646

13. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას, სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

14. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან,

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

ii.საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში, კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

iii.ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

iv.საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას,

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის, კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის აქციონერებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, უშვებს ახალ აქციონერს ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

15. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიის იურისტების განმარტებით მიმდინარეობს შემდეგი სასამართლო დავები, რომელიც წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციის საფასურის მოთხოვნას, ჯამური ღირებულება შეადგენს 8860,51 ლარს.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.

მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიის იურისტების განმარტებით მიმდინარეობს შემდეგი სასამართლო დავები, რომელიც წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციის საფასურის მოთხოვნას, ჯამური ღირებულება შეადგენს 8860,51 ლარს.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეო“

მმართველობის ანგარიშგება

(2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
წლისათვის)

ქ. თბილისი

2023 წელი

2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

შპს „ჯეო“ შეიქმნა 2005 წლის 10 ოქტომბერს. განვლილი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით საყოფაცხოვრებო საქონლისა და სუნელების მიწოდების ბაზარზე საკმაოდ კარგად დაიმკვიდრა ადგილი. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს ბაზარზე შევთავაზოთ საუკეთესო პროდუქტი და მომსახურება.

შპს „ჯეო“-ს ცენტრალურ ოფისში - თბილისში გაჩნია სასაწყობო მეურნეობა და სუნელების გადამამუშავებელი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოო დანადგარები. კომპანიას ათეულ წელზე მეტია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (ბათუმი, ქუთაისი, თელავი) გააჩნია ტერიტორიულ-სტრუქტურული ერთეულები, საიდანაც ხდება პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი დიდი თუ პატარა, ქსელური თუ არაქსელური (ტრადიციული ფორმატის) ობიექტებისათვის საყოფაცხოვრებო საქონლისა და სუნელების მიწოდება. კომპანიამ ბოლო პერიოდში აქტიურად მიჰყო ხელი ევროკავშირის ქვეყნებში, სუნელების ექსპორტს. ჩვენი გეგმები ამ მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით საკმაოდ ფართო და მასშტაბურია.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაზე, მომსახურების ეფექტურობისა და ხარისხის ზრდის მიზნით, ვახორციელებთ ინვესტიციებს ადამიანურ რესურსში, რათა მაქსიმალურად ხარისხიანად და სრულყოფილად მოვახდინოთ პროდუქციის მიწოდება მომხმარებლებისათვის.

კომპანია ბაზარზე 18 წელზე მეტია პოზიციონირებს, რაც გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის, მომხმარებლისა და თანამშრომლების წინაშე.

იმისათვის, რომ ვიყოთ მაღალი კორპორატიული მომსახურებისა და სტანდარტების ორგანიზაცია და მოვახდინოთ ხარისხიანი, ჯანსაღი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, ჩვენი პოლიტიკა

დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე -

- პერსონალი - ყველაფერი, რასაც ქმნის კომპანია ჩვენი მომხმარებლებისათვის, ხორციელდება ჩვენი ყველაზე ძვირფასი აქტივის, თანამშრომლების მიერ. კომპანიის წარმატებულ პოზიციონირებაზე ყოველდღიურად ზრუნავს 60-ზე მეტი თანამშრომელი.
- ხარისხი - ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით განუხრელად ვიცავთ ხარისხის დაცვისათვის ყველა პირობასა თუ მოთხოვნას. ვმუშაობთ თავდაუზოგავად, რომ ჯანსაღი, ხარისხიანი პროდუქცია ხელმისაწვდომი გავხადოთ საქართველოს ყველა რეგიონში - მთასა თუ ბარში, როგორც მშვიდობიანობის ჟამს, ამავედროულად ომისა თუ პანდემიის პირობებში.
- კორპორატიული სტანდარტი - კომპანია საქმიანობას წარმართავს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ღია, სამართლიანი, კეთილდინდისიერებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. კომპანია მუდმივად ჩართულია ყველა იმ საკანონმდებლო თუ სექტორულ დისკუსიებში ახალ რეგულაციებთან, პროგრამებთან მიმართებით, რაც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. კომპანია ზრუნავს თავის თანამშრომლებზე. არ იშურებს დროს, რესურსსა და ენერგიას თანამშრომელთა სამოტივაციოდ, მუდმივად ცდილობს გადაამზადოს და დაატრენინგოს თავისი პერსონალი.

პარტნიორები და პროექტები

კომპანიის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტს. კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ევროპისა და აზიის ქვეყნებთან, რათა მიგვეღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმოებული, ხარისხიანი პროდუქცია, კომპანია თავადაც იყო ჩართული არა ერთ ინფრასტრუქტურულ თუ ტექნოლოგიურ პროექტებში, რამაც გაზარდა მისაღები პროდუქციის როგორც ხარისხი, ასევე ეფექტურობა.

კომპანია მჭიდროდ არის დაკავშირებული და ცდილობს მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობა ჩამოაყალიბოს მის ყველა კონტრაგენტთან, რომელთანაც დაკავშირებულია ბაზარზე, ვინაიდან კომპანია აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერი და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება ჩვენი სპეციფიკის კომპანიებისათვის.

კომპანიის მიღწევები

კომპანია დაფუძნების დღიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. მუდმივად იზრდება დასაქმებულების რაოდენობაც. ამ პერიოდის განმავლობაში გაზარდა და გააფართოვა მისი საქმიანობის არეალი, პროდუქციისა და მომსახურების ასორტიმენტი. რის შედეგადაც შეძლო მეორე კატეგორიის საწარმოდ გარდაქმნა.

სასამართლო დავები

კომპანია დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად იყენებდა გამარტივებულ წარმოებას სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ასევე რამდენიმე შემთხვევაში აწარმოებდა სასამართლო დავას.

ორგანიზაციის სტრუქტურული გეგმა

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება.

კომპანიას მართავს დირექტორი ყველა იმ სტანდარტული უფლება-მოვალეობებით, რაც განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

კომპანიას სტრუქტურულად შემდეგი განაწილება აქვს:

- მთავარ რგოლს წარმოადგენს დირექტორი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის ადმინისტრაცია.
- მეორე რგოლს სწორედ ადმინისტრაცია ქმნის, რომელიც შედგება ბუღალტრული მიმართულების, შესყიდვებისა და გაყიდვების მენეჯერებისგან, მარკეტინგის გუნდის, რჩეველისა და დისტრიბუციის მიმართულების მენეჯერისგან.
- მესამე რგოლს შეადგენენ ის პირები და თანამშრომლები, რომლებიც მენეჯერთა პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევიან. მესამე რგოლი კომპანიაში წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელთა თითქმის 95%-ს. ამ რგოლში შედიან დისტრიბუტორები, მძღოლები,

ოპერატორები, პრომო-მერჩენდაიზერები და სხვა შედარებით ვიწრო სპეციფიკის პოზიციები.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. მეორე რგოლი ანუ ადმინისტრაცია ვალდებულია მკაცრად აღრიცხოს და გააკონტროლოს შეკვეთების, ხარჯვის, შესყიდვებისა და გაყიდვების მოცულობა. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები და მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრას პრობლემები.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის (მათ შორის იმპორტი), რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშვება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ დოკუმენტებში და საბუღალტრო პროგრამაში (ორის მენეჯერი), სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

ხელმოწერა: _____

ოპერატორები, პრომო-მერჩენდაიზერები და სხვა შედარებით ვიწრო სპეციფიკის პოზიციები.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. მეორე რგოლი ანუ ადმინისტრაცია ვალდებულია მკაცრად აღრიცხოს და გააკონტროლოს შეკვეთების, ხარჯვის, შესყიდვებისა და გაყიდვების მოცულობა. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები და მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრას პრობლემები.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის (მათ შორის იმპორტი), რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ დოკუმენტებში და საბუღალტრო პროგრამაში (ორის მენეჯერი), სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ხელმოწერა:

